

სწავლის მოტივაცია

ჩვენ ყველანი სწავლის სურვილით ვიბადებით. ადამიანი თავისი არსით მუდმივად განვითარებასა და ზრდაზეა ორიენტირებული. ძალიან ადრეული ასაკიდან ყველაფერი რასაც ბავშვი აკეთებს, სწორედ სამყაროს შემეცნების სურვილითაა პროვოცირებული და თუ გავიხსენებთ მცირეწლოვან ბავშვებს, აუცილებლად აღმოვაჩენთ, რომ მათ არ სჭირდებათ გარეგანი ფაქტორები, ბიძგი, დაინტერესება იმისთვის, რომ ყველა მათ ხელთ არსებული რესურსით, რაც შეიძლება მეტი ისწავლონ სამყაროზე, გარშემომყოფებსა თუ საკუთარ თავზე.

რატომ იწყებს ბავშვი მეტყველებას? ან რატომ იწყებს ბავშვი სიარულს? მხოლოდ იმიტომ, რომ ასაკის მიხედვით ევალება, ან დრო დგება? რომელია ბავშვის პირველი სიტყვები? როგორ დგამს ბავშვი პირველ ნაბიჯებს? როგორც წესი, ბავშვის პირველი მიზანმიმართული სიტყვა მისთვის სასურველისკენაა წარმოთქმული, იქნება ეს მშობელი, რომელსაც ეძახის, საგანი, რომელიც უყვარს, საკვები, რომელიც უნდა რომ მისცენ. გააზრებულ - ნამდვილ სიტყვას ბავშვი რაღაცის მიღების მოტივაციით ამბობს. და იმიტომაც ცხადია, რომ უკვე შეუძლია ამის გაკეთება. სიარულს ბავშვი იწყებს ვიღაცის ან რაღაცისკენ. ცოტა შორს დადებული სათამაშოს აღებისთვის, ან იმისთვის რომ მშობელამდე მივიდეს, რომელიც წინ უდგას. ამგვარად ადრეულ ასაკშიც კი, ბავშვს სჭირდება მამოძრავებელი ძალა, “დრაივი”, სტიმული, რომ ერთი შეხედვით ავტომატური, ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელი ჩვევები გამოიმუშავოს და განახორციელოს.

სწავლის მოტივაციის შეძენა არ იწყება სასკოლო ასაკში, მეტიც, მოტივაცია შეიძლება სწორედ ამ პერიოდში დაიკარგოს არასწორად შერჩეული გარემოს, დავალებების, თუ ბავშვის მიმართ გაუძღვრებული უკუკავშირების გავლენით.

იმის გაგება, თუ რა უბიძგებს ბავშვს სწავლისკენ, არის საფუძველი საგანმანათლებლო სისტემაში, რომელიც არა მხოლოდ აძლევს ცოდნას, არამედ ნერგავს სწავლისადმი უწყვეტ სიყვარულს. სწავლისადმი სწორად ჩამოყალიბებული დამოკიდებულება - სწავლას ღრმად პირად და მიმზიდველ გამოცდილებად აქცევს თითოეული ბავშვისთვის. მოტივაცია, თავისი არსით, მოქმედებს როგორც მამოძრავებელი ძალა, რომელიც აძლიერებს სწავლის სურვილს, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ჩართულობას და დაჟინებას სცადო კიდევ და კიდევ, მაშინაც კი თუ ეს რთული, უინტერესო, ან უსიამოვნოც კია.

მოტივაციის მნიშვნელობა არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. ის აყალიბებს იმას, თუ როგორ ძლევენ ბავშვები სასწავლო ამოცანებს, გავლენას ახდენს გამოწვევების გადალახვის უნარზე და გავლენას ახდენს მათ საერთო აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. მოტივირებული

ბავშვი უფრო ღრმად ჩაერთვება სწავლის პროცესში, ენთუზიაზმით შეისწავლის საგნებს და დაძლევის სირთულეებს. დამწყებ მოსწავლეებში მოტივაციის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია. საუბარია არა მხოლოდ მათ წახალისებაზე, რომ გამოიჩინონ ინტერესი, არამედ მათ აღჭურვაზე აზროვნების ინსტრუმენტებით, რომლებიც აუცილებელია მომავალი წარმატებისთვის.

მოტივაციის ქონა თავისთავად არ ნიშნავს რომ ბავშვს სწავლა არასდროს დაეზარება. მოტივაცია მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ადამიანს მოქმედებისკენ უბიძგებს. მაშინაც კი როცა დავალება რთულია, უსიამოვნო შესასრულებლად, ან ბავშვი ბევრჯერ მარცხდება შესრულების პროცესში.

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

სწავლას ორი ფუნდამენტური ტიპის მოტივაცია უწყობს ხელს: შინაგანი და გარეგანი.

შინაგანი მოტივაცია მიმდინარეობს შიგნიდან, რომელიც ხასიათდება მოსწავლის შინაგანი სურვილით, გამოიკვლიოს, გაიგოს და დაეუფლოს საგანს, რადგან მას მოაქვს სრული კმაყოფილება და კომპეტენციის განცდა. არ არსებობს ადამიანი, არც ერთ ასაკში, რომელსაც რაღაც არ გამოსდიოდა, გამოუვიდა და ამან სიამოვნება არ მოუტანა. ამ ტიპის მოტივაცია გადამწყვეტია გრძელვადიანი ჩართულობისათვის. ამ დროს ადამიანს არ სჭირდება გარეგანი განმამტკიცებლები, წახალისება, შეხსენება, ან გაძლიერება აკეთოს რაღაც სანამ კარგად გამოუვა. კარგად გამოსვლის სურვილი ძალიან პირადი და შინაგანად წარმოქმნილია.

ამის საპირისპიროდ, გარეგანი მოტივაცია იკვებება გარე ჯილდოებით ან უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებით. ჯილდოები, როგორიცაა შექება, შეფასება ან პრიზები და შემაკავებელი ფაქტორები, როგორიცაა კრიტიკა ან წარუმატებლობის შიში, ტიპიური გარეგანი მოტივატორებია. მიუხედავად იმისა, რომ გარე მოტივაციას შეუძლია ეფექტურად წამოიწყოს ან წარმართოს გარკვეული სასწავლო აქტივობები, მან შეიძლება არ შეინარჩუნოს გრძელვადიანი ინტერესი ისე ეფექტურად, როგორც შინაგანმა მოტივაციამ.

ორივე ტიპის მოტივაცია ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის სწავლის პროცესში. ამ მოტივაციური ძალების დაბალანსება აუცილებელია, რადგან ერთი მხრივ, ყოველთვის შეუძლებელია ბავშვს შინაგანი წყურვილი ჰქონდეს სწავლის, მას სჭირდება გარეგანი წახალისებლები, მეორე მხრივ, კი გარე ჯილდოებზე გადაჭარბებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება შეამციროს სწავლის ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და სიხარული, რომელიც თან ახლავს შინაგან მოტივაციას.

სწავლის მოტივაციის დაკარგვაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები

რა ეხმარება ბავშვებს, აითვისონ ახალი ინფორმაცია, მაშინაც, როცა ის რთულია და არც ისე საინტერესო?

წარმოიდგინეთ როგორ იგრძნობდით თავს, ან რას იფიქრებდით საკუთარ თავზე, ყველა თქვენ ირგვლივ რომ გეუბნოდეთ, რომ რაღაცას არასწორად აკეთებთ, ყოველთვის გაძლევდნენ შენიშვნებს, გიწუნებდნენ გაკეთებულ საქმეს, რამდენი ძალისხმევაც უნდა დახარჯოთ, რა დროც უნდა დაუთმოთ დავალებას – ეს არ იყოს საკმარისი და მოგიწოდებდნენ, რომ მეტი და მეტი აკეთოთ, მუდმივად გადარებდნენ სხვებს და გეუბნებოდნენ, რომ სხვები თქვენზე კარგად უმკლავდებიან დავალებებს. ამ სიტუაციაში გექნებოდათ სურვილი, ან მოტივაცია მეტი მუშაობის, მეტი ძალისხმევის დახარჯვის? თუ იფიქრებდით, რომ აზრი არ აქვს შრომას, მაინც არაფერი გამოვა, მაინც არავინ იქნება კმაყოფილი.

მეორე მხრივ, ხშირად მშობელი თავად იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის მიერ შესასრულებელ დავალებებზე. ესწრება მის გაკვეთილებს, მუდმივად ეკონტაქტება პედაგოგებს და სხვა მშობლებს, აწერინებს ან უარეს შემთხვევაში, თავად უწერს ბავშვს დავალებებს, აკონტროლებს მის ყველა ნაბიჯს მეცადინეობის პროცესში. ხშირად მშობელი აკრიტიკებს პედაგოგს, განათლების სისტემას, ბავშვის მიმართ მიდგომებს, ამბობს რომ დავალებები ძალიან ბევრი და გაუგებარია ბავშვისთვის და ის ამას დამოუკიდებლად ვერასდროს გაუმკლავდება.

სწავლის მოტივაციის დაკარგვაზე მოქმედებს არაერთი ფაქტორი:

1. მოთხოვნები ბავშვის მიმართ აღემატება მის რესურსს

ძალიან ხშირად, როგორც მშობლები, ისე პედაგოგებიც სწორად ვერ აფასებენ ბავშვის შესაძლებლობებს. მეცადინეობის უნარი, უნდა გვახსოვდეს, რომ თანდაყოლილი არაა. ეს უნარი ბავშვმა დროთა განმავლობაში უნდა შეიძინოს. თითოეულ ბავშვს ამ უნარების გამომუშავების საკუთარი ტემპი და რესურსი აქვს. მეცადინეობა მოითხოვს ნებისყოფას, დაგეგმვის უნარს, დავალებების თანმიმდევრულად შესრულებისთვის სტრატეგიის გამომუშავების უნარს, იმპულსის შეკავებისა და მოთხოვნილების გადავადების უნარს. არ უნდა დაგვაფიქვდეს ყურადღების შენარჩუნებისა და მოცულობის, დაწყებული ბოლომდე დასრულების, აქტივობის მინიმუმამდე დაყვანის უნარებიც. ხშირად ზრდასრულები სწავლის რესურსად მხოლოდ კარგი აზროვნების, შინაარსის გაგების, დამახსოვრების უნარებს მოვიაზრებთ და ყველა ზევითხსენებული სრულიად ყურადღების მიღმა გვრჩება. არადა სწორედ ეს უნარებია ფუნდამენტი - ბავშვმა შეძლოს სწავლა. თუ მოთხოვნები, რომელსაც ბავშვს ვუყენებთ (მაგ. იმეცადინოს 1 საათი შესვენების გარეშე, არ ადგეს სანამ სრულად დაასრულებს ტექსტის

წაკითხვას, თავი არ ასწიოს მაგიდიდან სანამ სწორად/ უშეცდომოდ არ ამოიწერს სიტყვებს) მნიშვნელოვნად აღემატება მის შესაძლებლობებს, სწავლის სურვილი იკარგება. რაკი მეცადინეობა გადაიქცევა უსიამოვნო პროცესად, სადაც ბავშვი მუდმივად დამარცხებულია.

2. გადაჭარბებული დავალები და აქტივობები

სკოლაში შესვლის შემდეგ, ბავშვი არ წყვეტს ბავშვად ყოფნას და მისი ერთადერთი როლი არაა - იყოს მოსწავლე. ეს მხოლოდ ერთი ახალი როლია, რომლის ინტეგრაციაც უნდა მოხდეს ბავშვის აქამდე არსებულ პიროვნებასთან, მის სურვილებთან, საჭიროებებთან, იმასთან რაც ბავშვს სიამოვნებას ანიჭებს. თუმცა, სკოლაში შესვლის დღიდან, ხშირად ზრდასრულებს ეს ავიწყდებათ და ბავშვის ყოველდღიურობა მხოლოდ სკოლის და მეცადინეობის ირგვლივ ტრიალებს. ყველა თემა, რაზეც ბავშვს ვესაუბრებთ, კითხვა რომელსაც ბავშვს ვუსვამთ, სწორედ სკოლის და სწავლის შესახებაა. არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვს რომელიც სკოლაში დადის, თავისუფალი დრო არ უნდა ჰქონდეს, თამაში დროის კარგვაა. მსგავსი დამოკიდებულებები სრულიად დაუშვებელია და ასე, ჩვენი სურვილი მეტად ვასწავლოთ ბავშვს, უკუშედეგს გვაძლევს, რაკი მას საერთოდ უქრება სწავლის სურვილი. დავალები უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობების საპირწონე. ძალიან ბევრი დავალება, რომელსაც ბავშვი ვერ აუდის, იწვევს სტრესს და დროთა განმავლობაში გამოფიტვას იმ რესურსის, რომელიც მას აქვს. დავალები იმ რაოდენობით და სირთულით უნდა მიეცეს ბავშვს, რომ მათთან გამკლავების პროცესში ბავშვს კომპეტენტურობის განცდა მისცეს. მისცეს ცოდნა იმაზე, რომ მას შეუძლია ამასთან გამკლავება.

3. ბავშვის შედარება სხვა ბავშვებთან ნეგატიური კუთხით

ბავშვი არასდროს უნდა შევადაროთ სხვებს. ბავშვი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა შევადაროთ. რა გამოსდიოდა ერთი კვირის წინ და რა გამოსდის ახლა. რამდენი რამე ისწავლა ბოლო პერიოდის განმავლობაში. რამდენად უკეთ უმკლავდება გამოწვევებს სემესტრის ბოლოს. სხვებთან შედარება ბავშვს კარგს არაფერს მოუტანს, საკუთარ წინსვლაზე დაკვირვებით კი ხედავს, რომ შეუძლია სირთულეების დაძლევა.

4. აქცენტირება შედეგებზე და არა პროცესზე

აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმაზე რას სწავლობს ბავშვი და არა იმაზე, რა ნიშანს მიიღებს. უნდა ვკონცენტრირდეთ არა საბოლოო შედეგზე, არამედ დახარჯულ ძალისხმევაზე. უმეტეს შემთხვევებში ჩვენ ორიენტირებული ვართ რა შედეგს მიაღწევს ბავშვი და გვავიწყდება ყველა ის ძალისხმევა, რომელსაც იგი მუშაობის პროცესში ხარჯავს. შესაძლოა, ბავშვმა საუკეთესოდ ვერ

წარადგინოს დავალება, ან ვერ მიიღოს უმაღლესი შეფასებები, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ და შევაქოთ ის ფაქტი, რომ მან ძალიან ბევრი იშრომა და დღეისთვის ეს შედეგი სავსებით მისაღები და საკმარისია. ამ შემთხვევაში ბავშვი ნაკლებს ნერვიულობს ნიშნებსა და შედეგებზე და მეტ სიამოვნებას იღებს თავად სწავლის, ახალი ინფორმაციის შეძენის პროცესით. ხაზი უნდა გავუსვათ პრაქტიკის, მუშაობის მნიშვნელოვნებას, რომ მცდელობებით და სხვების დახმარებით აუცილებლად მიაღწევს მიზანს.

5. მშობლის გადაჭარბებული ჩართულობა ბავშვის მეცადინეობაში

დამოუკიდებლობის და პირადი პასუხისმგებლობის განცდა სწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესი რამაა. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ბავშვის დახმარება და მის ნაცვლად საქმის კეთება. ბავშვს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ თავად აკონტროლებს სწავლის პროცესს, მშობელი კი მხარდამჭერი და დამხმარეა, ისიც საჭიროების შემთხვევაში. დახმარება გულისხმობს რთული დავალების მარტივ კომპონენტებად დანაწილებაში მონაწილეობის მიღებას, იმ კონკრეტული ნაწილის ახსნას, რაც ბავშვმა ვერ გაიგო, მარტივი ან სახალისო მეთოდის მისთვის ჩვენებასა და შეთავაზებას, ემოციურ მხარდაჭერას და თანადგომას. ბავშვის ნაცვლად საშინაო დავალებების წერა, მისი დახმარება არაა. რაც მეტ სირთულეს უმღავდება ბავშვი საკუთარი ძალისხმევით და თქვენი დახმარებით, მით მეტია თვითშეფასება, რაც ზრდის სწავლის მოტივაციასაც.

სწავლის მოტივაციის გაზრდაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები:

1. საკუთარი კომპეტენტურობის განცდის წახალისება

უპირველესად, ყოველთვის უნდა ვეცადოთ ბავშვს გაუჩნდეს წარმატების მიღწევის განცდები. ჩვენ ბავშვს ვეუბნებით, რომ გუშინდელთან შედარებით, დღეს უკეთ კითხულობს, უკეთ წერს მათემატიკის დავალებებს, უკეთ ესმის წაკითხულის შინაარსი. ეს ბავშვს ეუბნება, რომ მის შრომას აქვს აზრი, რომ ხვალ კიდევ უფრო კარგად გამოუვა, რაც ზრდის მოტივაციასაც და ბავშვის თვითშეფასებასაც.

2. მხარდაჭერა და სტიმულირება

შეეცადეთ, ბავშვი გამოიყვანოთ თავისი კომფორტის ზონიდან. ხშირად როცა ბავშვი მიზანს ვერ აღწევს, მას ეკარგება გაგრძელების, ან მეტი მუშაობის მოტივაცია. ამ დროს ზრდასრულების რეაქცია არ უნდა იყოს „რაც არის არის“. უნდა ვეცადოთ ვიპოვოთ ახალი გზა და სტრატეგია, რომელიც ბავშვს სამომავლოდ მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

3. დღის რუტინა და მოწესრიგებული ფიზიკური გარემო

ყველა ბავშვს სჭირდება სტრუქტურირებული გარემო, რომელიც პროგნოზირებადია და სადაც მან იცის, რის შემდეგ რა მოხდება მის თავს. ეს ყველა ადამიანს, განსაკუთრებით კი ბავშვს აძლევს უსაფრთხოების, დაცულობისა და საკუთარ ყოველდღიურობაზე კონტროლის განცდას. განუსაზღვრელობა და ქაოსი ზრდის სტრესს და ბავშვს აღარ რჩება დრო და რესურსი ნაყოფიერად გაატაროს დღე. მნიშვნელოვანია, მოვაწესრიგოთ ბავშვის დღის რუტინა – ძილის, კვების დროები. ამავე დროს, მეცადინებისა და თავისუფალი თამაშის დრო. ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყოველდღიურად თავისუფალი დრო, როცა მხოლოდ იმას აკეთებს, რაც მოსწონს, რითიც ერთობა.

4. ბავშვის წახალისება

ხშირად სწავლის პროცესში ჩვენ დასჯის მეთოდებს ვიყენებთ. არ წახვალ მეგობართან თუ არ იმეცადინებ, ვერ მიიღებ საჩუქარს თუ კარგ ნიშანს არ მიიღებ. თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ ერთ ძალიან მარტივ ჭეშმარიტებაზე. დასჯა, თავისი ბუნებით ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი ქცევის ჩაქრობას. სასჯელი, რომელიც თავისი არსით ნეგატიურია, ადამიანს ნებისმიერ ასაკში აიძულებს, აღარ მოიქცეს ისე, რომ სასჯელი მიიღოს. შესაბამისად, დასჯას არ შეუძლია ბავშვს რამე ასწავლოს. ერთადერთი რამ, რაც ბავშვს ახალს დაასწავლის - წახალისებაა. რადგან თავისი ბუნებით, წახალისება დადებითი სტიმულია, რომლის მიღებაც ყველა ადამიანს სურს და სწორედ წახალისებაა ის რისთვისაც ბავშვი ყველაფერს გააკეთებს. თუმცა, აქვე უნდა გახსოვდეთ, რომ წახალისება და მოსყიდვა ერთი და იგივე არაა. წახალისებაა - შენ ეს შეგიძლია, მე მიხარია, რომ ამას დამოუკიდებლად აკეთებ, მე ვიცი რომ შენ ეს გამოგივა, მეცადინეობას რომ დაასრულებ, რაც გინდა ის გავაკეთოთ ერთად. ბავშვის წახალისებისთვის არაა საჭირო მატერიალური ჯილდო, მვირადღირებული საჩუქრები და ქრთამი.

5. შენ ეს დამოუკიდებლად შეგიძლია.

ყველას სჭირდება განცდა, რომ გამოწვევას დამოუკიდებლად გაუმკლავდება. არასდროსაა ბევრი, ბავშვს ვუთხრათ, რომ მას შეუძლია გაუმკლავდეს იმ პასუხისმგებლობებს, რომელიც აკისრია. თუმცა, ამითვის უნდა გავიხსენოთ ის ფაქტორები, რომელიც ზევით აღვნიშნეთ და ბავშვს სწავლის მოტივაციას უკარგავს. სანამ ბავშვს ამ ფრაზას ვეტყვით და მის დარწმუნებას დავიწყებთ, რომ შეუძლია გამოწვევებთან გამკლავება, უნდა დავრწმუნდეთ, რომ : 1. დავალებები და მოთხოვნები მორგებულია მის შესაძლებლობებს და არა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმებს, თუ მშობლის სურვილებსა და მოლოდინებს. 2. დავალებები, უნდა იყოს ბავშვის რესურსის შესაბამისი, როგორც რაოდენობის, ისე სირთულის მიხედვით. 3. არასდროს უნდა გაგვეპაროს და ბავშვი სხვას შევადაროთ, იქნება ეს მეგობარი, ჩვენი საკუთარი თავი, თუ დედამამიშვილი. ჩვენ ყველანი ისეთები ვართ, როგორებიც ვართ. განვითარება პიროვნულ

ზრდაშია და არა სხვებთან მიმართებაში საკუთარი თავის გაზომვაში. ეს არავის ეხმარება. 4. დაუტოვეთ ბავშვს სივრცე დამოუკიდებლად მუშაობისთვის, სივრცე სადაც თავად გადაწყვეტს რა და როგორ იმეცადინოს, რა თანმიმდევრობით, დროით, ინტენსივობით. ბავშვისთვის დამოუკიდებლობის მიცემა არ ნიშნავს იმას, რომ არ გადაამოწმოთ შესრულების ხარისხი, ან არ დაეხმაროთ მას. 5. ასწავლეთ ბავშვს დახმარების თხოვნა, არა მაშინ როცა დავალების შესრულება ეზარება, არამედ მაშინ როცა ეს მართლა სჭირდება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები კარგ მოსწავლეებად არ იბადებიან, კარგ მოსწავლედ ჩამოყალიბება პროცესია. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის უნარები, რესურსი, ინტერესები, პიროვნული ნიშნები, გარემო, გარშემომყოფები და რაც უმნიშვნელოვანესია მოტივაცია.

სტატიის ავტორი ფსიქოდიაგნოსტი, ფსიქოკონსულტანტი ზანდა ჩეჩელაშვილი



კურსი მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მშობელთა ჩართულობა შვილების განათლებაში“ ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWM-ის, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს